ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3650062

ნომერი: AR1549614

თარიღი : 21.10.2017

გაცემის თარიღი : 10.11.2017

გაცნობის თარიღი : 10.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ჩინჩალაძე პ/ნ 10001008714
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. N 9 ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1549614 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ-ზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო

კოდი N01.72.14.034.189) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის საზღვარი, ახდენს ზედდებას მიმდებარედ არსებულ რეგისტრირებულ ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.539). შესაბამისად, საკითხის განხილვისათვის დამატებით უნდა აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებული გეგმა მიმდებარედ არსებული რეგისტრირებული ტერიტორიების გათვალისწინებით. გაცნობებთ, რომ სასურველია კორექტირება მოხდეს მომიჯნავე ნაკვეთთან ერთად (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:01.72.14.034.539). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.